



....დაუდევრობისა და გულგრილობის წყალობით უკანასკნელი 80 წლის მანძილზე საქართველოში გადაშენდა 25 სახეობის უკავილოვანი მცენარე, ხოლო 45 გადაშენების გზატეა... თუ საგანგებო ზომები არ იჭნა მიღებული, მოხალოდნელია კიდევ 400 სახეობის უკავილოვანი მცენარე გადაშენდეს, რაც დიდად გააღარიბდეს ჩენებ ფლორას".



78

— მამაზუმიერი თუ გჯამს, ნაგაზი მაინც გამატანე, თორმე, ემ დუმლიონებს გჯაში გამზღიან!

## აჩალი ბლის ღამეს

შე ი ყ ო, მორიგი სადლეგრძელო შეესვით და ზედ თითო აბი კიდევ დაგა-  
ყოლეთ, რომ იფიციანტი ქალი დაგვადგა თაქს.

— გვერდითა მაგიდიდან გამოგიგზავნეს! — გვითხრა და თორმეტი ბოთ-  
ლი „შვარე“ გაგვიმჭვრივა.

— რედაოთხი „ენისელი“... ფური, ენამ მიყივლა... კისელი ნათალი ჭიქებით  
იმ ხუფრას! — ბრძანა თამადამ.

პასუბა თოთხმეტი გაუსწენელი ბითლი მაწინი მოგვივიდა. ისევ გამოიდო  
თავი ტოლემბაშმა და ათი შუშა ცხელი ჩე გაუგზავნა თანამოინახებს.

ხუთი წუთიც არ იყო გასული, ისევ მოგვადგა სველი ლანგრით ოფიციან-  
ტი ჭალი და საფერავის ფერად დაფერილი კომპოტით სავსე კათხები ჩამო-  
გვიმოგა.

— თხუთმეტი შუშა „შამპანური“ მაგათ! — კელავ წასცდა თამადას.

ჭალმა თხუთმეტი შუშა ახალი არაუანი ციმციმ წაიღო კუთხის მაგიდისაკენ.

ხაათის ისარი თორმეტს უახლოვდებოდა.

— შეერბებო! — თამადამ მაღლა ახწია ასეილის წვენით სავსე ბროლის  
ჭათხა, — ამ სასმელივით ტკბილად, იმ სასმელივით (ზედ რომ არაუანი ელაგა,  
იმ კუთხის მაგიდისაკენ გაიშვირა ხელი) თეთრი წვერით დამიბერდით!

ვიღაცამ სასტარტო პისტოლეტი დააქუთხა და დარბაზში მხიარულებამ  
იფეთქს. — ჩაშ, როგორ?! ხომ უნდა გაეგო ხალხს, რომ აქ ყოფილი დიდი შა-  
რაჭისტები, მერე შეტი სმისაგან დიეტაზე და პენსიაზე ერთდროულად გასუ-  
ლები კვლავაც ჩვენს რჯულზე ვხვდებოდით ახალ წელს!

ჩემს მეზობელს, ალიბეგას, რომ ესტუმრა ნათეხავი,  
გახალისდა, ცას ეწია, ლალად იგრძნო კაცმა თავი,  
გაბურადდა, ცხვარი დაკლა, ლვინოც შეონდა ძევლისძველი,  
სხვებთან ერთად, მეც მიმიხმ, როგორც კარგი მეზობელი.  
იცის, სასმელს ზომაზე ვსვამ, სულ არ მტანჭვს ავადობა,  
ამიტომაც სიუვარულით მომილოც თამადობა.

ვადლეგრძელე მასპინძელი, მისი ძე და ასულება,  
მშობლები და წინაპრები — ამ ქვეყნიდან წასულები.

გავდახლი მაღალი ხმით, ზეაში სახლის ჭერი,

ენა უფრო მოვიქარევ, როცა სტუმრის დადგა ჭერი:

წამოვდექი ჭიქით ხელში, გავიხედე აქეთ-იქით,

„მეზობლებო, მეგობრებო! — დაკიახე მეტის რიხით, —

სმენა იყოს, გაგონება! ძირითა სტუმარს ვადლეგრძელებ,  
თქვენს წინაშე კაცურ კაცად მე ირალის ვასახლები!

დაელოცოს სახლის ჭერი, უდლეგრძელოს ცოლი, შვილი

და სიკეთოთ ცხოვრებაზი უოფალიყოს ქმაყოფილი!

არასოდეს მოქლებოდეს იმის ფახს ლუქმაპური,

დაეჭარდოს საშობლოსთვის ვაჟაცები ვაჟაცური!

მახთან ერთად ვისურებდი ჩვენს სახელად და იმედად

ალეჭარდოს ასულები სახახლოდ, ქართველ დედად!“

მერე გვერდზე დავიხარ, ჩუმად ვკითხე ირაკლისა:

„ააა, ძმა, სათვალავი მითხარ შენი შეილებისა!“

ჩამჩურჩულა: „მაგ საკითხე საუბარი არა დირსა,

ჭერებობით, უცოლო ვარ, ნეტავ, შვილი ვინ მალირსა?

რომ იცოდე, არცა ვჩეარობ, ორმოცდაორის ვარ წლისა,

არ მინდა, რომ გავიმზარო წლები ჩემი სიცოცხლისა!

ჭერეთ სწავლას გადავევი, მერე ავშენე სახლი,

კარგი „ვეშჩიც“ შევაძინე, მის დარაგად — ავი ძალი.

ახლა ვცდილობ, მანებისთვის მალე მოვაგროვო ფული.

ცოლ-შვილები ვნახოთ, ვიყოლიებ, თუ როდისმე მირჩევს გული.

სულ ვერ ვატან ბავშვის ჩხავილს, თუ გსურს, გითხრა სიტყვა სწორი,

შერე ზოგი ცხრა-ათსაც შობს, როგორც ჭიშანი ღორი!

რა ეს მითხრა, გავშრი კაცი, ამივარდა თავში სიცხე,

ლეინის სახმისს ხელი უშვი, ცივი წყალი მოვიკათხე.

გულისცემა დამასუსტა, უშბლიც შეონდა ცხელზე ცხელი,

ჩემი ცოდვის შემხედვარე, აწრიაღდა მასპინძელი.

ვირუნები, ვიშვანები, კაცი გავხდი მუშტისტოლი..

„თუ ვერ იტანს, სასმელს რად სხამის?“ — აბუზუნდა მისი ცოლი.

მე კი გულს სხვა დარდი მიკლავ, ბაგაბუგობს, როგორც დოლი,

უშბარი წამალია — მომიტანეს ვალიდოლი...

როგორც იქნა, დავდექ უცხვე, სახლში მივედ ცოცხალ-შევდარი,

მასპინძელმა ვერც გაივი, თუ რა მჭირდა სატკივარი.

მისი სტუმრის ენისაგან დავრჩი გულში დაკოდილი,

უცოლ-შვილო, უფეხებირო, ცამდის იყო კმაყოფილი!

თანც მისმა მწარე სიტყვამ მოლად სიცოცხლე მომიშხამა,


ნუთუ, მართლა საძრახია, ათი შვილის რომ ვარ მამა?

ზალვა პოლიკაური

ნახ. გ. ცორჩებისისა



— ეს თოვლის ბაბუა ყოველთვის ასე იცხვეს:  
ამრ უფროსმან შედის და მერე ჩვენიან შემო-  
რჩანდება!



ლერი ჩანთლაძე

## მინიატურები ზეგონებებით

ერთხა ინჟინერ მაგრაძე ხანს აშენა სახლები, მაგრამ ყველა დაენგრა, ვინაიდან ხარბი და მომხვეჭელი გახლდათ, საშენ მასალას ჭამდა და სისხლის სამართლის კოდექსთან მწყრალი იყო. აკი დაიჭირეს კიდეც. მეორე ინჟინერი, მის ადგილას რომ დანიშნეს, დღესაც აშენებს სახლებს და შესანიშნავად იცის სისხლის სამართლის კოდექსი.

**ზეგონება:** რომ აშენო, უნდა იცოდე!

ერთხა უცხოელ მა სტუმარმა სტეოვა ერთ ქართველს, ეამბნა რაიმე გრემსა და ვარძიაზე. ქართველმა დაწვრილებით უამბო მათი ისტორია, ენა-წყლიანად დაუხასიათა მათი ღირსებები, სათითაოდ ჩამოუთვალა. მათ მიერ მოხვეჭილი მედლები და დიპლომები. შემდეგ პრაქტიკულად გააცნო „გრემიცა“ და „ვარძიაც“.

**ზეგონება:** გიყვარდეს და იცოდე მშობლიური ქვეყნის ისტორია!


ერთხა კაც მა გადაწყვიტა, დაბადების დღე გადაეხადა მაღალ ღონეზე. მართლაც, ისეთი სუფრა გაიშალა, კულინარული ხელოვნების შედევრად ჩათვალეს მნახველებმა. კულინარული ხელოვნების ამ ზეიმს მსხვერპლად შეეწირა სამი გოჭი, 14 წიწილა, 57 კალმახი, 3.598 ქვირითი, ერთი ძუძუს ბატქანი, ერთი ხძო და ოჯახის სამი თვის ბიუჯეტი.

**ზეგონება:** ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვ!


ერთი პატარა თანამდებობის პირი ერთთავად ადგილის გამოცვლასა და დაწინაურებაზე ოცნებობდა. იმდენი მოახერხა, ნანატრი აისრულა: ერთ მშვენიერ დღეს უზარმაზარ, ნათელ კაბინეტში დასვეს. ახალ ადგილზე ფართოდ გაუშალა ხელი და ავტომანქანა „ვოლგა“ შეიძინა. სულ მალე ის კაცი ქმნავ გაღაადგილეს, ოლონდ ამჯერად, ვიწრო, ბნელ, ფანჯრებზე ცხაურაკრულ ოთხში.

**ზეგონება:** ავტომანქანა გადაადგილების საშუალებაა!


ნახ. პ. მრავალიძე



ნახ. ი. ფირაზვილიძე



ზეგონება



ზეგონება





მეცნიერული განაცხადის პროცესის შესახვა

## რუსეთი ცენტრი

განვითარებული წლის, მომზრის თვეში ურნალ „ნინები“ რედაქციას ეწვია. რუმინეთის სოციალისტური რესტაციის საჭირისა და იუსტიციის ურნალ „ურზიები“ მოვარი რედაქტორი, მწერალი მანოლე აუნიანუ.

— ყველა გზა რომისკენ მიდის, ამტკიცებულენენ რომაელები, მაგრამ დღეს ვინც ჩამოვა საბჭოთა კავშირში, ვუკიქრობ, აუცილებლად უნდა ეწვიოს საქართველოს და, რა თქმა უნდა, თბილისს. ეს ჩინებული ქალაქია. მწერალმა შალვა დამიანძა თქვა: თბილისი იმით ვარსკვლავებით მოჰქედილ ამობრუნებულ ცასა ჰგავსო. მე კი მონია, რომ თბილისი დღისით ამობრუნებულ უზარმაზარ თასს ჰგავს, რაშიც აღამიანძა და ბუნებამ ნამდვილი სემირამიდას ბალები შექმნეს.

ვევრ სადღეგრძელოს დროის გზავარედინზე ყველა შებარისას, ვინც უგლის და კიდევ უფრო ალამზებს მსოფლიოს ამ ულამზეს კუთხეს — საქართველოს!

ნახ. პ. დეისადისა



გაზის ცენტრი  
გამოცემაში  
რაოდენობით 04


სეიტყვოდ

## მურმან ლებანიძე

### საყანეილო იუმორისა

მამა პირმშოს არიგებს —  
საქმის კაცად სტედს,  
მაგალითდ აიღებს  
ლურსმანს,  
აგურს,  
კეტს,  
ამბავს იშვებს შორიდან,  
ეუბნება ცეტს:  
„სახლში რასაც მოიტან,  
ცოცხალ  
თავის მეტს,  
შველაუგრი კარგია, —  
გილობს,  
მავთულს,  
ჩელტს...

მკვდარი თავიც გვარგია,  
შეცაცები ღმერთის!..  
მიჭუნია თავს უქნებს,  
თან სტაფილოს კვნეტს,  
თავის საკითხს აშუქებს,  
ამოცანას წევეტს.  
უუბნება: „სწორი ხარ,  
მივხვდით, გახაგებია!  
ვიცით, რაც მოხავები  
და რაც წახაგებია!  
რომ გაგვიშეს? ცოცხალი  
შართლაც ხანდო არ არია —  
სახლში რამეს შეგვიგაშს,  
ვნახეთ სუფთა ზარალი!  
მკვდარს კი კატას შევაჭმევთ,  
ლუკმა დაგვიჭოგება,  
ეხეც — ჩვენი ხეირი და  
ფხეც — ჩვენი მოება!“  
აზაირად არიგებს  
მამა თავის ცეტს;  
ნიჭიერად გაიგებს  
მიჭი ზავს და თეთრს;  
იზრდება და კაცდება, —  
ცოცხალ თავის მეტს, —  
რასაც იაღმიერ წასწვდება:  
სიმინდს,  
სორალს,  
უმტკს,  
ნილს და კონსერვს ხილისგან,  
ერბოს,  
კარაჭს,  
ჰეთი —  
ეზიდება ზინისკენ,  
თანაც წითლებს მხვეტს...  
მიჭის მამა იცინის,  
არ ემდურის ბედს,  
„არ გძირდება ჩიჩინი!“ —  
მიჭი ალერით ჩქმეტს:  
„დაგენაცილე ჭიგარში,  
წუთისოულის ჭიქაში,  
რომ არ ტოვებ წევთის!“



## მურთავ ახაშიშე

მისი ნამუშევრების I პერსონალური გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით. მურთაზით სუნთქავს „მერანის“ საგამოფენო დარბაზი და ახევევია მნახველი — დღეში თორმეტი ათასი! ერთმანეთს ეჯიბრებიან კერამიკა და სიცილი, გაისმის აღტაცებული შეძახილები ხშირ-ხშირი! ხალხში დგას გამარჯვებული, გაღიმებული მურთაზი და ავტოგრაფებს არიგებს შეუსვენებლად, უფასოდ უსაყვარლესი კაცი და უსაყვარლესი მხატვარი, — ნამუშევარი კი არა, — სულიც გაჩუქოს, მზად არის! უშურველ კარიკატურისტს კერამიკოსს და პლაკატისტს — არც ერთი ქოლეგისათვის არ გამოუკრავს — მას — კვანტი! მიღებული აქვს მრავალი ჭილდო — მედალი, დიპლომი!.. დიპლომებია სქელ-სქელი, მედლები — დიდრონ-დიდრონი! კარიკატურის ხატვისას ხმარობს საყვარელ აკვარელს! არც სიცილს აკლებს „ნიანგსა“, არცა ცივ ნიავს აკარებს! როცა ამთავრებს ნახელავს, — საცეს ფერადი სიცოცხლით, — ისეა აღტაცებული, — თავის თავს თვითონ იქოცნის! იუმორით და სატირით ჩვენს ანტიზოდებს არ ზოგავს! „ნიანგისათვის“ ძალიან ძნელია უმურთაზობა! გვინათლს კერამიკული და ნიანგური გენებით და გაგახაროს ახალი მიღწევა-გამოფენებით!

ზაურ ბოლქვაძე

— ოოგორც ვიცით, თქვენი ქა-  
ჩხასი სახელოვანმა კოლექტივმა,  
ყაული წლის მაჩვენებლების მი-  
ხედით, გაიმარჯვა და, გარდამა-  
გალ ვიმპელებთან ერთად, ფულა-  
დს პრემიაც დაიმსახურა

— დახს!

— კუსორს, ჩვენი გაზითის მე-  
ონგელებს ვრცლად მოვუთხროთ  
აქვენი საჭარმოს სამაგალითო  
საქმიანობაზე! გთხოვთ გვიასუ-  
შოთ, რამდენიმე შეკთხვებზე!

— ბრძანეთ!

— რამდენი პროცენტით შეას-  
რულეთ გასული წლის ბოლო და-  
რტალი, დავალება?

— მგონი.. მოიცა..

— თუ არ ვცდები, ქარხანაშ  
101,6 პროცენტით გაანალდა პრო-  
დუქციის გამოშვების გეგმა!..

— კი!

— წოლო რეალიზაციისა —  
107,7 პროცენტით!..

— ააა..

— თორმეტი ათას ექვსასი ტო-  
ნა ზეგვეგმითი მაღალაზრისხოვან  
პროდუქცია გამოუშვით, არა?

— ხო!

— რამ განაპირობა თქვენი კო-  
ლექტივის ასეთი წარმატება?

— საერთოდ...

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ  
წარმატება განაპირობა შრომის  
სწორმა ორგანიზაციამ, ასებული  
რეზერვების, ყოველი სამუშაო  
წუთის რაციონალურად გამოყე-  
ნებამ, მუშა-მოსამსახურეთა კვა-  
ლიტიკაციის ამაღლებამ. ასეა,  
ხომ?

— პრინციპში, ჰო!

— ალბათ, დაუღალვად ზრუ-  
ნავთ პროდუქციის ხარისხის ამა-  
ლებისითეთის, ჩამორჩენილების  
კონკრეტულ გზებს უსახავთ მდგო-  
მარეობის გამოსაშროებლად, გა-  
მარვებულებს აჯილდობთ, სა-  
პატიო ადგილებს აკუთვნებთ...

— აა, არა?

— თქვენი ქარხნის მიერ გამო-  
შვებული პროდუქცია, მგონი,

იგზავნება ჩვენი ქვეყნის სამრეწ-  
ველო ცენტრებში, საზღვარგა-  
რეთაც. როგორაა ხარისხის საქ-  
მე? დამკვეთი. ორგანიზაციებიდან  
ხომ არ დებულობთ რეკლამაცი-  
ებს?

— არა მგონია!

— თქვენმა რაციონალიზაციე-  
ბმა და გამოგონებლებმა, მარ-  
ტო გასულ წელს, ოცამდე საინ-  
ტერესო წინადაღება წამოყენეს.  
ტექნიკური პროგრესისათვის მე-  
ბრძობა ამ მოუსკენარი აზრის  
ადამიანებს ხომ გააჩნიათ სათანა-  
დოდ აღწურვილი ტექნიკური ბა-  
ზა-სახელოსნოები, მანქანა-იარა-  
ღები, საცდელი სამუშაო ლაბო-  
რატორიები, კაბინეტები?

— მაშ!

— დამისახელეთ თქვენი ქარხ-  
ნის რამდენიმე ახალგაზრდა შუ-  
ქურა. შრომის დამკვრელი!

— ია. ია...

— თუ მექსიერება არ მღალა-  
ტობს, თქვენი მოწინავე მუშის,  
ციბრუტა მუყაითაშეილის სახელი  
ღლეს კარგადაა ცნობილი. მუშა-  
ობს თუ არა იგი იდრინდელი ტე-  
მით და როგორია, სერთოდ, მი-  
სი ყოველდღიური შრომის შედე-  
ვები, როგორ შრომობს ამჟამად?

— ისე, რა!

— თქვენთან ყველა პირობაა  
შექმნილი მშრომელთა კულტუ-  
რული, შინაარსიანი დასვენებისა-  
თვის. კიდევ რას აპირებთ ამ მი-  
მართულებით?

— ეეე...

— ამჟამად ღამის თოხსართუ-  
ლიან სანატორიუმშისაც აშენებთ,  
არა?

— ნუუ...

— ძააალიან დიდი მაღლობა  
ასეთი ღრმა, მეტად შინაარსიანი,  
არაჩვეულებრივად საინტერესო,  
ფრიად მიმზიდველი და სასაჩვე-  
ბლო საუბრისათვის!

— არაფრის!

ინტერვიუ აილო  
ვანო ციცაბავა



მიმერისალისტთა სამხადრო-სამრეწველო ქომ-  
კლეიტის რეჟლოეს.

## ნერილი საგარეჯოდან

ეს ბარათი სტამბური წესით გვინდოდა  
იგვეწყო, ცარცის ქაღალდზე დაგვებული და,  
საახალწლო საჩუქრებთან ერთად გამოვეგ-  
ზავნა, მაგრამ, მოგეხსენებათ, თუ კეთილმო-  
წყობილი არა ხარ, გულითაც რომ მოინდო-  
მო, კეთილ საქმეს ვერ გააკეთებ. ვგ. კი არა,  
დავალებული რაცა გვაქვს, იმ საქმესაც კე-  
თილისინდისიერად ვერ ვასრულებთ. ამას საი-  
ღუმლოდ გწერთ, პატივცემულო ნიანგო,  
იმედია, არ გაგვამხელთ „საკუშირო სააღ-  
რიცხვო გამომცემლობასთან“, თორებ ახლა  
ისინი იჩივლებენ თქვენთან და სიმართლე-  
საც იტყვიან, რომ საგარეჯოს სარემონტო ქა-  
ნტორია, რომელთანაც წელიწადნახევარია ხე-  
ლშეკრულება აქვთ დაღებული რემონტის  
თაობაზე, თაობიდან თაობას გადაეცემა. იმე-  
დის წყალი გადაიწურა, დაპირებითაც აღარ  
გვაიღებიან, ჩვენი მდგომარეობა კი დღითი-  
ღლე უარესდება. ფანჯრის ჩარჩოების უვა-  
გისძინების გამო მინებია ჩამტვრეული. ქარი  
ისე ქრის, როგორც მინდორში, ჭერილან წყა-  
ლი მხოლოდ წვიმის ღრმის ჩამოდის. რაც მა-  
რთალია მართალია, თუ გარეთ არ წვიმს, არც  
სტამბაში წვიმს. პოლიგრაფიული განქანების  
მონტაჟი და გაშვება შეუძლებელია. იატაკი  
მიწისაა, რომ გვცოლნოდა ფიცარს არ და-  
გებდნენ, ყვავილებს მაინც გავახარებდით და  
საახალწლოდ თქვენც გაგახარებდით!..

## ტრავარეული უსაზღაბის განვარჩევითი დესტრიქტი

- „გაშლილი ფრანტი ით მიწის სამუ-  
შაოების ჩატარება“ — ხენა-თეხვა.
- „დიდი შრომითი აღმაღლობის და-  
მუხტული ატმოსფეროა გამეფებული“ —  
კარგად მუშაობენ.
- „მაურნეობისა და კოლმეურნეობის  
ყურძნის პლანტაციები“ — ვენახი.
- „ცილმის შინაარსის არსი შემდეგ-  
ში მდგომარეობს...“ — ფილმის შინაარსია...  
ფრაზები
- შეცდომის დაშვება უფრო იოლია,  
ვიღრე მასზე მოხსენებით ბარათის წერა.
- ჯერ შეცდომა უნდა დავუშვათ და  
მერე მასზე ვისწავლოთ.



გლიფველის სახლმუზემ.

ବ୍ୟାକ୍ ପରିମାଣ କରିବାରେ ଏହାରେ  
ନିର୍ଦ୍ଦେଶ: ୧. ଅଭିଭ୍ୟାସରେ, ୨.  
ଅଭିଭ୍ୟାସରେ, ୩. ଅଭିଭ୍ୟାସରେ ୫.  
ଅଭିଭ୍ୟାସରେ, ୬. ଅଭିଭ୍ୟାସରେ ୭.  
୭. ଅଭିଭ୍ୟାସରେ, ୮. ଅଭିଭ୍ୟାସରେ ୯.  
୯. ଅଭିଭ୍ୟାସରେ, ୧୦. ଅଭିଭ୍ୟାସରେ ୧୧.  
୧୧. ଅଭିଭ୍ୟାସରେ, ୧୨. ଅଭିଭ୍ୟାସରେ ୧୩.